„მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დანართი №1 შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №63 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 04/01/2018, №190020020.35.159.016312).

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	**21988.3**	**24962.0**	**21496.2**	**3465.8**	**23770.9**	**23520.9**	**250.0**
გადასახადები	**9188.7**	**8600.0**	**8600.0**	**0.0**	**17129.8**	**17129.8**	**0.0**
გრანტები	**8629.0**	**9719.6**	**6253.8**	**3465.8**	**250.0**	**0.0**	**250.0**
სხვა შემოსავლები	**4170.6**	**6642.4**	**6642.4**	**0.0**	**6391.1**	**6391.1**	**0.0**
ხარჯები	**13192.8**	**15364.7**	**15359.2**	**5.5**	**17002.0**	**16752.0**	**250.0**
შრომის ანაზღაურება	2511.4	3407.9	3407.9	0.0	3765.1	3600.1	165.0
საქონელი და მომსახურება	3082.8	3087.8	3082.3	5.5	2781.4	2781.4	0.0
პროცენტი	64.5	102.6	102.6	0.0	20.3	20.3	0.0
სუბსიდიები	5946.8	7194.1	7194.1	0.0	8810.0	8730.0	80.0
გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1075.8	1139.3	1139.3	0.0	1166.0	1161.0	5.0
სხვა ხარჯები	466.6	388.1	388.1	0.0	414.2	414.2	0.0
საოპერაციო სალდო	**8795.4**	**9597.3**	**6137.0**	**3460.3**	**6768.9**	**6768.9**	**0.0**

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**8719.2**	**12304.7**	**8464.6**	**3840.1**	**6600.0**	**6600.0**	**0.0**
ზრდა	8938.2	13219.7	9379.6	3840.1	7000.0	7000.0	0.0
კლება	219.0	915.0	915.0	0.0	400.0	400.0	0.0
მთლიანი სალდო	**76.3**	**-2707.4**	**-2327.6**	**-379.8**	**168.9**	**168.9**	**0.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-198.5**	**-2891.4**	**-2511.7**	**-379.8**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ზრდა	**368.8**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	368.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	**567.4**	**2891.4**	**2511.7**	**379.8**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	567.4	2891.4	2511.7	379.8	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**-274.8**	**-184.0**	**-184.0**	**0.0**	**-168.9**	**-168.9**	**0.0**
კლება	274.8	184.0	184.0	0.0	168.9	168.9	0.0
საშინაო	274.8	184.0	184.0	0.0	168.9	168.9	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2017 ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	**22207.3**	**25877.0**	**22411.2**	**3465.8**	**24170.9**	**23920.9**	**250.0**

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2017 ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	21988.3	24962.0	21496.2	3465.8	23770.9	23520.9	250.0
არაფინანსური აქტივების კლება	219.0	915.0	915.0	0.0	400.0	400.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	**22405.8**	**28768.5**	**24922.9**	**3845.6**	**24170.9**	**23920.9**	**250.0**
ხარჯები	13192.8	15364.7	15359.2	5.5	17002.0	16752.0	250.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	8938.2	13219.7	9379.6	3840.1	7000.0	7000.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	274.8	184.0	184.0	0.0	168.9	168.9	0.0
ნაშთის ცვლილება	**-198.5**	**-2891.4**	**-2511.7**	**-379.8**	**0.0**	**0.0**	**0.0**

თავი II

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 23770,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ		
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	**21988.3**	**24962.0**	**21496.2**	**3465.8**	**23770.9**	**23520.9**	**250.0**

გადასახადები	**9188.7**	**8600.0**	**8600.0**	**0.0**	**17129.8**	**17129.8**	**0.0**
გრანტები	**8629.0**	**9719.6**	**6253.8**	**3465.8**	**250.0**	**0.0**	**250.0**
სხვა შემოსავლები	**4170.6**	**6642.4**	**6642.4**	**0.0**	**6391.1**	**6391.1**	**0.0**

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 17129,8 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	9188.7	8600.0	8600.0	0.0	**17,129.8**	**17,129.8**	0.0
საშემოსავლო გადასახადი	3437.2	3300.0	3300.0	0.0	**0.0**	**0.0**	0.0
ქონების გადასახადი	5751.5	5300.0	5300.0	0.0	**5,500.0**	**5,500.0**	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2544.9	2100.0	2100.0	0.0	**2,300.0**	**2,300.0**	0.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	44.9	45.0	45.0	0.0	**45.0**	**45.0**	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	48.9	20.0	20.0	0.0	**22.0**	**22.0**	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1912.8	1955.0	1955.0	0.0	**1,928.0**	**1,928.0**	0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1200.0	1180.0	1180.0	0.0	**1,205.0**	**1,205.0**	0.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	**11,629.8**	**11,629.8**	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 250,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გრანტები	**8629.0**	**9719.6**	**250.0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	**8629.0**	**9719.6**	**250.0**
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**5499.9**	**6253.8**	**250.0**
გათანაბრებითი ტრანსფერი	**5253.7**	**6003.8**	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	**246.2**	**250.0**	250.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**3129.0**	**3465.8**	**0.0**
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3129.0	3465.8	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 6391,1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	**4170.6**	**6642.4**	**6,391.1**
შემოსავლები საკუთრებიდან	**904.6**	**1140.0**	**1,148.0**
პროცენტები	227.9	450.0	**455.0**
რენტა	676.7	690.0	**693.0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	521.08	520.00	523.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	155.7	170.0	170.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**1963.5**	**2622.3**	**2,621.0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1959.4	2617.3	**2,616.0**
სანებართვო მოსაკრებელი	73.21	100.00	100.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	8.60	9.00	8.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1756.6	2308.3	2,308.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	121.01	200.00	200.0

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**4.1**	**5.0**	**5.0**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	4.1	5.0	5.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**1247.0**	**2880.1**	**2,622.1**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**55.6**	**0.0**	**0.0**

თავი III

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი

ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 17002,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	**13192.8**	**15364.7**	**15359.2**	**5.5**	**17002.0**	**16752.0**	**250.0**
შრომის ანაზღაურება	2511.4	3407.9	3407.9	0.0	3765.1	3600.1	165.0
საქონელი და მომსახურება	3082.8	3087.8	3082.3	5.5	2781.4	2781.4	0.0
პროცენტი	64.5	102.6	102.6	0.0	20.3	20.3	0.0
სუბსიდიები	5946.8	7194.1	7194.1	0.0	8810.0	8730.0	80.0
გრანტები	45.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1075.8	1139.3	1139.3	0.0	1166.0	1161.0	5.0
სხვა ხარჯები	466.6	388.1	388.1	0.0	414.2	414.2	0.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მარნეულის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6600,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7000,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	127.7	308.3	44.4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	2.0	42.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8124.3	10678.9	5577.3
04 00	განათლება	610.6	777.0	20.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	75.6	1444.5	1316.3
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	0.0	9.0	0.0
	სულ ჯამი	**8938.2**	**13219.7**	**7000.0**

ბ) განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 400,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	**219.0**	**915.0**	**400.0**
ძირითადი აქტივები	**37.8**	**415.0**	**200.0**
არაწარმოებული აქტივები	**181.2**	**500.0**	**200.0**
მიწა	181.2	500.0	200.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**4255.7**	**5658.9**	**5688.1**
7011	**აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები**	**4013.7**	**5369.3**	**5495.9**
70111	**აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა**	4013.7	5199.3	5345.9
70112	**ფინანსური და ფისკალური საქმიანობა**	0.0	170.0	150.0
7016	**ვალთან დაკავშირებული ოპერაციები**	**242.1**	**289.6**	**192.14**
702	**თავდაცვა**	**162.1**	**213.0**	**258.2**
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	162.1	213.0	258.2
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**7526.1**	**7192.9**	**4711.4**
70421	სოფლის მეურნეობა	483.9	1871.4	190.0
7045	ტრანსპორტი	7042.3	5285.1	4521.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7042.3	5285.1	4521.4
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0.0	36.5	0.0
705	**გარემოს დაცვა**	**1159.2**	**1424.9**	**2203.7**
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1147.5	1401.0	1928.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	11.7	23.9	275.7
706	**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**	**3284.6**	**6289.0**	**3357.2**
7061	ბინათმშენებლობა	26.6	90.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	145.6	981.7	368.9
7063	წყალმომარაგება	2024.9	3842.3	2388.3
7064	გარე განათება	1024.5	1250.4	599.9
7076	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები საბინაო–კომუნალურ მეურნეობაში	62.9	124.6	0.0

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
707	**ჯანმრთელობის დაცვა**	**139.2**	**161.5**	**180.0**
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	139.2	161.5	180.0
708	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**2183.2**	**3683.6**	**3980.3**
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1039.5	2248.4	1441.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	874.1	1054.2	2092.5
7083	ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	57.6	72.0	86.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	212.1	309.0	360.0
709	**განათლება**	**2653.3**	**3104.0**	**2692.0**
7091	სკოლამდელი აღზრდა	2581.7	3032.0	2620.0
7092	ზოგადი განათლება	71.6	72.0	72.0
710	**სოციალური დაცვა**	**1042.4**	**1040.6**	**1100.0**
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	717.0	700.0	800.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	320.9	335.6	295.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4.5	5.0	5.0
	სულ	**22405.8**	**28768.5**	**24170.9**

თავი IV

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 168.9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -168.9 ათასი ლარის ოდენობით.

მათ შორის: ვალდებულების კლება 168.9 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 -2022 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

1. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა–რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (ორგანიზაციული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა კვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ , სოფელ სეითგოჯალოს მისასვლელი გზის, ქვემო სარალის შიდა გზების, სოფელ ახლოლალოს შიდა გზების, სოფელ ოფრეთში მისასვლელი გზის, სოფელ ალგეთის ღვინის ქარხნის შიდა გზების სოფელ კაჩაგანის შიდა გზების,სოფ. დამია–გეურარხის შიდა გზების, სოფ.კიროვკაში მისასვლელი გზის, სოფ. ხოჯორნიში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სოფ.წერაქვში შიდა გზებზე ალმირებული ბეტონის მოწყობა. სოფელ იმირში „გადაჭრილი გორის“ ტერიტორიაზე ცენტრალური ტრასიდან მისასვლელი გზის მოასფალტება. ასევე დაგეგმილია სოფელ შაუმიანში და ქ.მარნეულში ესმპ–ს დასახლებაში ხიდის რეაბილიტაცია და სხვა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 593,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფლების აღმამედლო–ულაშლო–კასუმლოს დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 213.9 ათ.ლარი
- სოფ.ამბაროვკის გზის მოასფალტება –80,0 ათ.ლარი
- სოფ. ილმაზლოს გზის მოასფალტება –80,0 ათ.ლარი

- სოფ. სეითგოჯალოში მისასვლელი გზის მოასფალტება –167,0 ათ.ლარი
- სოფ. ქვემო სარალის შიდა გზების მოასფალტება –12,5 ათ.ლარი
- სოფ. ახლოლალოს შიდა გზების მოასფალტება –12,5 ათ.ლარი
- სოფ.წერაქვში შიდა გზებზე არმირებული ბეტონის მოწყობა – 12,5 ათ.ლარი
- სოფ. კაჩაგანის შიდა გზების მოასფალტება –15,0 ათ.ლარი

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზაციული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი:მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობის და კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში წყალმომარაგების, სარწყავი არხების, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ახალი ნაგავსაყრელის გამართული ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

ბ.ა) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზაციულიკოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება;

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოების სოფლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“–ს სუბსიდირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემის მოწყობა– რეაბილიტაცია მოსახლეობის ზედაპირული გრუნტის წყლის მოხვედრისაგან დაცული, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ სოფ.სიონის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფ.ბურმაში ჭაბურღილის მოწყობა, სოფ.შაუმიანის სასმელი წყლის რეაბილიტაცია და სხვა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 865,5 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფ. სადახლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია II ეტაპი– 263,0 ათ.ლარი
- სოფ. აღმამედლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია II ეტაპი–170,3 ათ.ლარი
- სოფ. ულაშლოში შიდა ქსელისა და რეზერვუარის მოწყობა – 280,0 ათ.ლარი

ბ.ბ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზაციულიკოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: საირიგაციო ქსელის გამართული ფუნქციონირება, მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის

შესაბამისად 130,0 ათასი ლარი სოფ. მეორე ქესალოში მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

ბ.გ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზაციულიკოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: გარე საკანალიზაციო ქსელის გამართული ფუნქციონირება;

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი კორპუსების გარე საკანალიზაციო ქსელის მოვლა შენახვაში მოსახლეობის ხელშეწყობა.სოფ. მარეთში დაგეგმილია ბიოგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

ბ.დ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზაციული 03 02 05)

ქვეპროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება;

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მიმდინარე რეაბილიტაცია.

ბ.ე) ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები (ორგანიზაციულიკოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება;

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“–ს სუბსიდირება, ნაგავსაყრელის სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის დაცვა.

ბ.ვ) ა(ა)იპ „სუფთა მარნეული"–ს დაფინანსება (ორგანიზაციული 03 02 07)

ქვეპროგრამის მიზანი: დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება;

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის მოასფალტებული ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება, გამწვანების მოვლა-დასუფთავება, ხეების გადაბელვა, სოფლის მეურნეობის პროექტით დახვნითი სამუშაოები და სხვა.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (ორგანიზაციულიკოდი 03 03)

პროგრამის მიზანი: მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით.

გ.ა) სკვერებისა და პარკების გაშენება–რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები (ორგანიზაციულიკოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის მიზანი : სკვერების და პარკების რეაბილიტაცია;

ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, კერძოდ, ქ.მარნეულში ჯავახიშვილის სახელობის და ქობულეთის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად 188,9 ათასი ლარი ქ. მარნეულში ძეგლის ,,კიდევაც დაიზრდებიან"–მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციის მეორე ეტაპისათვის.

გ.ბ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო რუქების მომზადების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის მიზანი : მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე ტროტუარების და ღობეების მოწყობა, ასევე იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები (ორგანიზაციული კოდი 05 03)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება.

2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

ა) ა(ა) იპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"–ს დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა;

პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქცირუნველყოფა, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკისგანხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/

მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა.

ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა(ორგანიზაციული კოდი 04 02)

პროგრამის მიზანი სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია აღსაზრდელებისა და მომსახურე პერსონალისათვის კეთილსაიმედო გარემოს შესაქმნელად.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ორგანიზაციულიკოდი 04 03)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური დახმარება მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თითოეულზე 50 ლარის ოდენობით), ზაფხულის საშვებულებო პერიოდის (ივლისი, აგვისტო) გარდა, მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის ხელშეწყობის მიზნით.

3. **კულტურა, რელიგია , ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; ასევე პროგრამა ითვალისწინებს მარნეულის ტელევიზიის „მარნეული ტვ“ ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობას, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადებას, ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქების უზრუნველყოფას.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2020 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 2000-მდე სპორტსმენს;

პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია;

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (ორგანიზაციული 05 01 01)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტის პროპაგანდა, ადგილობრივი სპორტსმენების ხელშეწყობა;

2019 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

ა.ბ) სპორტული სკოლები (ორგანიზაციული 05 01 02)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტსკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის,ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.სპორტული დარბაზის მოვლა შენახვა, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თანხების, სიგელების, ჯილდოების,ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა საქმიანობის წარმოება. სპორტული ინვენტრის. სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა. მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით სპორტსმენების ეროვნული და საერთაშორისო ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. სპორტსმენების ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა.ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა მოწყობის ხარჯები.

სარაგბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაგბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინასტრაციულ ერთეულებში. 2019 წლიდან გათვალისწინებულია ფრენბურთის სექციის დამატება და ამ სახეობის პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტში.

ა.გ) სპორტული ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია (ორგანიზაციული 05 01 03)

ქვეპროგრამის მიზანი: სპორტული ობიექტების გამართული ფუნქციონირება:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.მარნეულში სამხედრო დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობა და მინი კომბინირებული სტადიონების რეაბილიტაცია, სოფელ საბირქენდში და საიმერლოში მინი სტადიონის მშენებლობა.

ბ)კულტურის განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება;

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების დაფინანსება.

ბ.ა)კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონიძიებების ჩატარება;

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებში სხვადასხვა გასართობი, სანახაობრივი და შემეცნებითი ღონისძიებები.

ბ.ბ) კულტურის ცენტრის დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებებიდა ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვოკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების ფიქსაცია პოპულარიზაცია.მოზარდი თაობის დემოკრატიული საზოგადოების ჭეშმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეთიკური განვითარების სრულყოფა.

ბ.გ) კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (ორგანიზაციული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: კულტურის ობიექტების გამართული ფუნქციონირება:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაფინანსება სოფელ იმირში „გადაჭრილი გორის“ ძეგლის გადახურვის მიზნით შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით, ,,გადაჭრილი გორის" ტერიტორიაზე სამუზემო კომპლექსის მშენებლობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სოფ. წერაქვში ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის სახურავის რეაბილიტაცია და სხვა.

გ) ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (ორგანიზაციული კოდი 05 03)

პროგრამის მიზანი: ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების,

პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.

დ) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (ორგანიზაციული კოდი 05 04)

პროგრამის მიზანი:რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეების სულიერების ამაღლება;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეების სულიერების ამაღლების მიზნით. კერძოდ 350,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, ხოლო 10,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის.

4. **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ორგანიზაციული კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ბ) სოციალური პროგრამები (ორგანიზაციული კოდი 06 02)

პროგრამის მიზანი: მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (ორგანიზაციული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო დახმარება თანადაფინანსების გზით;

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის და საკრებულოს სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე, კერძოდ:

- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებული ბენეფიციარების მკურნალობითან/და მედიკამენტებით დახმარება არაუმეტეს წელიწადში 200 ლარის ოდენობით;

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა

წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით,არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით ან 100 ლარის ღირებულების მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება გაეწევა მოთხოვნილი თანხის 100%-ის ოდენობით;

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, სარეიტინგო ქულით 0–დან 120000–მდე, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით მედიკამენტებით დახმარება, არაუმეტეს წელიწადში 600 ლარის ოდენობით;

- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ოპერაციის ან/ და რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 800 ლარისა.

- ონკოლოგიური ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს, დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით;

- გულის ოპერაციის დაფინანსების მიზნით ბენეფიციარს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივ ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით;

- 0–დან 120000–მდე სარეიტინგო ქულის ბენეფიციარს ოპერაციის დაფინანსების მიზნით, სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გაცემული დახმარების შემდეგ, აუნაზღაურდება 200 ლარი და მეტი ოდენობის დარჩენილი თანხის არსებობისას, დასაფარავი თანხის 50%, არაუმეტეს 2000 ლარისა.;

ბ.ბ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (ორგანიზაციული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა ყოფითი სახის დახმარების გაწევა;

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ყოფითი დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის და საკრებულოს სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე, კერძოდ:

- ასი და მეტი წლოვანების ხანდაზმულს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ომისა და სამხედრო ძალების შ.შ.მ ვეტერანს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ახალშობილის დაბადებასთან დაკავშირებით, მისი დაბადებიდან ორი კალენდარული თვის ვადაში განცხადების წარმოდგენისას, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს დახმარება გაეწევა პირველ და მე-2 ბავშვზე 200 ლარის ოდენობით, ყოველ მომდევნო ბავშვზე გასაცემი თანხა გაიზრდება 100 ლარის ოდენობით.
- 0–დან 80000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა დედას ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ 4 და მეტი რაოდენობის, არასრულწლოვანი შვილის ოჯახებს ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირს–დევნილ ოჯახებს, დედ–მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს და ომში დაღუპული მეომრის ოჯახებს გაეწევათ დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;

- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულ უსინათლოსა და ყრუ–მუნჯ მოქალაქეს გაეწევათ დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;
- არასრულწლოვანი ასაკის შ.შ.მ ონკოლოგიური ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით;
- 0–დან 15000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს დახმარება ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით;
- დედ–მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს ყოველთვიურად 150 ლარის დახმარება;
- 57000–დან 60000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით დახმარება;
- უსინათლოებსა და ყრუ მუნჯ ბენეფიციარებს ყოველთვიურად 40 ლარის ოდენობით დახმარება;
- დიალეზზე მყოფ ბენეფიციარებს, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, ქ. მარნეულის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 20 ლარის ოდენობით, ყიზილ-აჯლოსა და ალგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 30 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს 50 ლარის ოდენობით.
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს, კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დახმარება გაეწევათ 100 ლარის ოდენობით, ხოლო კალენდარული წლის აგვისტოს თვეში (8 აგვისტოსთან დაკავშირებით) 500 ლარის ოდენობით. ასევე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, კალენდარული წლის მაისის თვეში, (9 მაისთან დაკავშირებით) ერთჯერადი საჩუქრის სახით დახმარება გაეწევათ 250 ლარის ოდენობის თანხით.
- მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირის ერთჯერადად დახმარების მიზნით საჭიროების შესაბამისად ეტლის შეძენა;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახიდან 2 ან მეტი სტუდენტის ყოლისას საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახიდან დედით ან/და მამით ობოლ ბენეფიციარს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- დედით და მამით ობოლ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებული პირთა – დევნილთა ოჯახებს, რომელთა შვილიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევათ 500 ლარის ოდენობით.
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილებს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში ან კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე, მზრუნველი) რეინტეგრირებულ არასრულწლოვან ბენეფიციარს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 20 ლარის ოდნეობით.

ბ.გ) სარიტუალო მომსახურება (ორგანიზაციული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.

5. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მათ შორის: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.

(ორგანიზაციული კოდი 0102) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული არის გრანტის სახით 45.0 ათასი ლარით დაფინანსება.

(ორგანიზაციული კოდი 0104) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, გრაფიკის მიხედვით, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა.

6. **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

თავი VI

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	მარნეულის მუნიციპალიტეტი	**22,405.8**	**28,768.5**	**24,922.9**	**3,845.6**	**24,170.9**	**23,920.9**	**250.0**
	მომუშავეთა რიცხოვნება	**213.0**	**242.0**			**241.0**	**241.0**	**0.0**
	ხარჯები	**13,192.8**	**15,364.7**	**15,359.2**	**5.5**	**17,002.0**	**16,752.0**	**250.0**
	შრომის ანაზღაურება	**2,511.4**	**3,407.9**	**3,407.9**	**0.0**	**3,765.1**	**3,600.1**	**165.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**8,938.2**	**13,219.7**	**9,379.6**	**3,840.1**	**7,000.0**	**7,000.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**274.8**	**184.0**	**184.0**	**0.0**	**168.9**	**168.9**	**0.0**
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**4,497.8**	**5,658.9**	**5,514.5**	**144.4**	**5,688.1**	**5,688.1**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნება	**0.0**	**230.0**			**229.0**	**229.0**	**0.0**
	ხარჯები	**3,999.7**	**5,166.6**	**5,166.6**	**0.0**	**5,474.8**	**5,474.8**	**0.0**
	შრომის ანაზღაურება	**2,384.1**	**3,250.6**	**3,250.6**	**0.0**	**3,600.1**	**3,600.1**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**127.7**	**308.3**	**163.9**	**144.4**	**44.4**	**44.4**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**370.4**	**184.0**	**184.0**	**0.0**	**168.9**	**168.9**	**0.0**
01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**771.9**	**1,076.9**	**1,076.9**	**0.0**	**1,177.2**	**1,177.2**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნება	**21.0**	**30.0**			**29.0**	**29.0**	**0.0**
	ხარჯები	**769.6**	**1,073.9**	**1,073.9**	**0.0**	**1,172.2**	**1,172.2**	**0.0**
	შრომის ანაზღაურება	**449.3**	**645.4**	**645.4**	**0.0**	**676.3**	**676.3**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**0.6**	**3.0**	**3.0**	**0.0**	**5.0**	**5.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**1.7**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
01 02	**მუნიციპალიტეტის მერია**	**3,241.8**	**4,122.4**	**3,978.0**	**144.4**	**4,168.7**	**4,168.7**	**0.0**
	მომუშავეთა რიცხოვნება	**180.0**	**200.0**			**200.0**	**200.0**	**0.0**
	ხარჯები	**3,101.1**	**3,817.1**	**3,817.1**	**0.0**	**4,129.3**	**4,129.3**	**0.0**
	შრომის ანაზღაურება	**1,934.8**	**2,605.1**	**2,605.1**	**0.0**	**2,923.9**	**2,923.9**	**0.0**
	არაფინანსური	**127.1**	**305.3**	**160.9**	**144.4**	**39.4**	**39.4**	**0.0**

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	აქტივების ზრდა							
	ვალდებულებების კლება	13.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	170.0	170.0	0.0	150.0	150.0	0.0
	ხარჯები	0.0	170.0	170.0	0.0	150.0	150.0	0.0
01 04	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	242.1	289.6	289.6	0.0	189.1	189.1	0.0
	ხარჯები	64.5	105.6	105.6	0.0	20.3	20.3	0.0
	ვალდებულებების კლება	177.6	184.0	184.0	0.0	168.9	168.9	0.0
01 05	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	3.0	3.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	3.0	3.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	162.1	213.0	213.0	0.0	258.2	93.2	165.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	12.0	12.0	0.0	0.0	12.0	12.0	0.0
	ხარჯები	162.1	211.0	211.0	0.0	216.2	51.2	165.0
	შრომის ანაზღაურება	127.3	157.3	157.3	0.0	165.0	0.0	165.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2.0	2.0	0.0	42.0	42.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	162.1	213.0	213.0	0.0	258.2	93.2	165.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	12.0	12.0	0.0	0.0	12.0	12.0	0.0
	ხარჯები	162.1	211.0	211.0	0.0	216.2	51.2	165.0
	შრომის ანაზღაურება	127.3	157.3	157.3	0.0	165.0	0.0	165.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	2.0	2.0	0.0	42.0	42.0	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	ვალდებულებების კლება	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**12,023.3**	**14,906.8**	**11,205.6**	**3,701.2**	**10,272.3**	**10,272.3**	**0.0**
	ხარჯები	**3,845.0**	**4,228.0**	**4,222.5**	**5.5**	**4,695.0**	**4,695.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**8,124.3**	**10,678.9**	**6,983.1**	**3,695.7**	**5,577.3**	**5,577.3**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**54.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
03 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**	**6,494.4**	**4,825.1**	**3,392.6**	**1,432.5**	**3,941.4**	**3,941.4**	**0.0**
	ხარჯები	**484.3**	**386.0**	**386.0**	**0.0**	**400.0**	**400.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**6,010.1**	**4,439.1**	**3,006.6**	**1,432.5**	**3,541.4**	**3,541.4**	**0.0**
03 02	**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**4,352.2**	**8,603.6**	**6,645.8**	**1,957.7**	**5,382.0**	**5,382.0**	**0.0**
	ხარჯები	**2,852.6**	**3,376.5**	**3,376.5**	**0.0**	**3,715.0**	**3,715.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,496.0**	**5,227.0**	**3,269.3**	**1,957.7**	**1,667.0**	**1,667.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**3.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
03 02 01	**წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**2,024.9**	**3842,3**	**2807,1**	**1,035.2**	**2,388.3**	**2,388.3**	**0.0**
	ხარჯები	**4.3**	**1055,0**	**1055,0**	**0.0**	**1,205.0**	**1,205.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,152.2**	**2,787.3**	**1,752.1**	**1,035.2**	**1,183.3**	**1,183.3**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**3.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
03 02 02	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	54.0	1,871.4	948.9	922.5	190.0	190.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54.0	1,871.4	948.9	922.5	190.0	190.0	0.0
03 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	11.7	23.9	23.9	0.0	275.7	275.7	0.0
	ხარჯები	11.7	23.9	23.9	0.0	25.0	25.0	0.0
03 02 04	მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობა	26.6	90.0	90.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	26.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	90.0	90.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 05	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,024.5	1,250.4	1,250.4	0.0	599.9	599.9	0.0
	ხარჯები	796.3	899.6	899.6	0.0	560.0	560.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	228.2	350.8	350.8	0.0	39.9	39.9	0.0
03 02 06	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები	121.6	100.0	100.0	0.0	128.0	128.0	0.0
	ხარჯები	101.6	100.0	100.0	0.0	128.0	128.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 07	"ააიპ სუფთა მარნეული"–ს დაფინანსება	1,025.9	1,301.0	1,301.0	0.0	1,800.0	1,800.0	0.0
	ხარჯები	1,025.9	1,298.0	1,298.0	0.0	1,797.0	1,797.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
03 02 08	სასაფლაოების და სარიტუალო სახლების მოწყობა და რეაბილიტაცია	62.9	124.6	124.6	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	21.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41.7	124.6	124.6	0.0	0.0	0.0	0.0
0303	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	345.5	981.7	707.2	274.6	368.9	368.9	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	345.5	981.7	707.2	274.6	368.9	368.9	0.0
03 03 01	სკვერებისა და პარკების გაშენება–რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები	86.5	974.5	700.0	0.0	308.9	308.9	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	86.5	974.52	699.97	0.0	308.9	308.9	0.0
03 03 02	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო რუქების მომზადების ხარჯი	59.1	7.2	7.2	0.0	60.0	60.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59.1	7.2	7.2	0.0	60.0	60.0	0.0
03 04	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	547.9	460.0	460.0	0.0	580.0	580.0	0.0
	ხარჯები	470.0	460.0	460.0	0.0	580.0	580.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	77.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 05	სოფლის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება	483.3	36.5	0.0	36.5	0.0	0.0	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	ხარჯები	38.1	5.5	0.0	5.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	394.7	31.0	0.0	31.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	50.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	**განათლება**	2,653.3	3,104.0	3,104.0	0.0	2,692.0	2,692.0	0.0
	ხარჯები	2,031.3	2,327.0	2,327.0	0.0	2,672.0	2,672.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	610.6	777.0	777.0	0.0	20.0	20.0	0.0
	ვალდებულებების კლება	11.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 01	**ა(ა) იპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"–ს დაფინანსება**	1,692.2	2,237.0	2,237.0	0.0	2,620.0	2,620.0	0.0
	ხარჯები	1,692.2	2,214.2	2,214.2	0.0	2,600.0	2,600.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	22.8	22.8	0.0	20.0	20.0	0.0
04 02	**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**	889.5	795.1	795.1	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	267.6	40.8	40.8	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	610.6	754.2	754.2	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	11.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	**ზოგადი განათლების ხელშეწყობა**	71.6	72.0	72.0	0.0	72.0	72.0	0.0
	ხარჯები	71.6	72.0	72.0	0.0	72.0	72.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	2,183.2	3,683.6	3,683.6	0.0	3,980.3	3,980.3	0.0
	ხარჯები	2,092.2	2,239.1	2,239.1	0.0	2,664.0	2,664.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	75.6	1,444.5	1,444.5	0.0	1,316.3	1,316.3	0.0

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	ვალდებულებების კლება	**14.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**1,039.5**	**2,248.4**	**2,248.4**	**0.0**	**1,441.8**	**1,441.8**	**0.0**
	ხარჯები	**1,007.7**	**994.4**	**994.4**	**0.0**	**1,168.0**	**1,168.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**30.3**	**1,254.0**	**1,254.0**	**0.0**	**273.8**	**273.8**	**0.0**
05 01 01	**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**	**5.8**	**20.0**	**20.0**	**0.0**	**18.0**	**18.0**	**0.0**
	ხარჯები	**5.8**	**20.0**	**20.0**	**0.0**	**18.0**	**18.0**	**0.0**
05 01 02	**სპორტული სკოლები**	**1,028.3**	**1,004.4**	**1,004.4**	**0.0**	**1,180.0**	**1,180.0**	**0.0**
	ხარჯები	**1,001.9**	**974.4**	**974.4**	**0.0**	**1,150.0**	**1,150.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**25.9**	**30.0**	**30.0**	**0.0**	**30.0**	**30.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**0.4**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
05 01 03	**სპორტული ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია**	**5.4**	**1,224.0**	**1,224.0**	**0.0**	**243.8**	**243.8**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**4.4**	**1,224.0**	**1,224.0**	**0.0**	**243.8**	**243.8**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**1.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**874.1**	**1,054.2**	**1,054.2**	**0.0**	**2,092.5**	**2,092.5**	**0.0**
	ხარჯები	**815.1**	**863.7**	**863.7**	**0.0**	**1,050.0**	**1,050.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**45.3**	**190.6**	**190.6**	**0.0**	**1,042.5**	**1,042.5**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**13.7**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
05 02 01	**კულტურული ღონისძიებები**	**215.1**	**198.7**	**198.7**	**0.0**	**200.0**	**200.0**	**0.0**
	ხარჯები	**206.8**	**198.7**	**198.7**	**0.0**	**200.0**	**200.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**8.3**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
05 02 02	**კულტურის ცენტრის დაფინანსება**	**561.1**	**700.0**	**700.0**	**0.0**	**867.5**	**867.5**	**0.0**
	ხარჯები	**555.5**	**665.0**	**665.0**	**0.0**	**850.0**	**850.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**4.4**	**35.0**	**35.0**	**0.0**	**17.5**	**17.5**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**1.3**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
05 02 03	**კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია**	**44.5**	**155.6**	**155.6**	**0.0**	**1,025.0**	**1,025.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**40.9**	**155.6**	**155.6**	**0.0**	**1,025.0**	**1,025.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**3.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
05 03	**ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	**57.6**	**72.0**	**72.0**	**0.0**	**86.0**	**86.0**	**0.0**
	ხარჯები	**57.6**	**72.0**	**72.0**	**0.0**	**86.0**	**86.0**	**0.0**
05 04	**რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა**	**212.1**	**309.0**	**309.0**	**0.0**	**360.0**	**360.0**	**0.0**
	ხარჯები	**211.8**	**309.0**	**309.0**	**0.0**	**360.0**	**360.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**0.3**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
06 00	**სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები**	**1,189.2**	**1,202.1**	**1,202.1**	**0.0**	**1,280.0**	**1,195.0**	**85.0**
	ხარჯები	**1,187.4**	**1,193.1**	**1,193.1**	**0.0**	**1,280.0**	**1,195.0**	**85.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**0.0**	**9.0**	**9.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**1.7**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
06 01	**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**	**146.8**	**161.5**	**161.5**	**0.0**	**180.0**	**100.0**	**80.0**
	ხარჯები	**146.8**	**152.5**	**152.5**	**0.0**	**180.0**	**100.0**	**80.0**
	არაფინანსური	**0.0**	**9.0**	**9.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	აქტივების ზრდა							
06 02	**სოციალური პროგრამები**	**1,042.4**	**1,040.6**	**1,040.6**	**0.0**	**1,100.0**	**1,095.0**	**5.0**
	ხარჯები	**1,040.7**	**1,040.6**	**1,040.6**	**0.0**	**1,100.0**	**1,095.0**	**5.0**
	ვალდებულებების კლება	**1.7**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
06 02 01	**ავადმყოფთა სოციალური დაცვა**	**717.0**	**700.0**	**700.0**	**0.0**	**800.0**	**800.0**	**0.0**
	ხარჯები	**717.0**	**700.0**	**700.0**	**0.0**	**800.0**	**800.0**	**0.0**
06 02 02	**ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა**	**320.9**	**335.6**	**335.6**	**0.0**	**295.0**	**295.0**	**0.0**
	ხარჯები	**319.2**	**335.6**	**335.6**	**0.0**	**295.0**	**295.0**	**0.0**
	ვალდებულებების კლება	**1.7**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
06 02 03	**სარიტუალო მომსახურება**	**4.5**	**5.0**	**5.0**	**0.0**	**5.0**	**0.0**	**5.0**
	ხარჯები	**4.5**	**5.0**	**5.0**	**0.0**	**5.0**	**0.0**	**5.0**

თავი VII

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16 .

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს 101–ე მუხლის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში 40,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 17.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18 .

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.
2. საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 20 .

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ–ების ბიუჯეტების და საშტატო ნუსხების დამტკიცება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21 .

საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის 6-ე პუნქტის შესაბამისად წლიური ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.
2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.
3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, (გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა) და ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.
4. ერთი პრიორიტეტის პროგრამის ფარგლებში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ქვეპროგრამებს/ღონისძიებებს შორის ასიგენებების გადანაწილება (მათ შორის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა), შესაძლებელია განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე;
5. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია განახორციელდეს ცვლილებები (მათ შორის: პროგრამული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ გადასახდელებში და შემოსულობებში. განხორციელებული ცვლილებები 1

თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, ცნობის სახით უნდა წარედგინოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

6. ამ მუხლის 2-5 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 22.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 23 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 24 . სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 250,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 80,0 ათასი ლარის ოდენობით ;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 165,0 ათასი ლარის ოდენობით;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარის ოდენობით;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.